იტალია-საქართველოს ბიზნეს ურთიერთობები: არსებული მდგომარეობა, პერსპექტივები

მაია როხვაძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: rokvadzemaia@mail.ru

რეზიუმე

სტატიაში – ***„იტალია-საქართველოს ბიზნეს ურთიერთობები: არსებული მდგომარეობა, პერსპექტივები“*** – დახასიათებულია იტალიის როგორც ევროპის ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის ეკონომიკა, ინოვაციებში მისი მაღალი რეიტინგები, იტალიიდან მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი და სხვა მაჩვენებლები, დახასიათებულია იტალიაში დანერგილი ინოვაციური სისტემის ევროატლანტიკური მოდელი და ნათქვამია, რომ იტალია არის ის ქვეყანა, რომელთანაც პარტნიორული ურთიერთობების განვითარება-გაფართოება სასარგებლო იქნება საქართველოსთვის.

ამის გარდა, სტატიაში მოცემულია საქართველოში გახსნილი იტალიური საწარმოების მიმოხილვითი დახასიათება. მათგან ყველაზე მეტი ყურადღება გამახვილებულია იტალია-საქართველოს ერთობლივ საწარმოებზე, რომელთა მეშვეობით საქართველო გადის იტალის ბაზარზე.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს-ურთიერტობები; მაღალი ტექნოლოგიები; ერთობლივი საწარმოები

შესავალი

ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესი მიზნად ისახავს ქვეყანაში დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ევროპული დონის მიღწევას. იგივე მიზანი აქვს იტალიასთან ურთიერთობებს. იტალია ევროპის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული ქვეყანაა დიდ ბრიტანეთის, გერმანიის, სკანდინავიის ქვეყნების და საფრანგეთის შემდეგ, და, მასთან საქართველოს პარტნიორული კავშირები გამართლებულია ეკონომიკურად.

1. იტალია როგორც საინტერესო პარტნიორი საქართველოსთვის

ევროპა მსოფლიოს მსხვილი რეგიონია. მასში მაღალგანვითარებული ქვეყნებიც არიან და საშუალოდ განვითარებულებიც (ევროპაში საქართველოსნაირი ჩამორჩენილი არცერთი ქვეყანა არ არის). ამ ქვეყნებს შორის არის იტალია, რომლის განვითარების დონე და ჩვენი პირადი მრავალწლიანი კონტაქტები იტალიასთან, გვაძლევს უფლებას იტალია მივიჩნიოთ საქართველოსთვის, დღესაც და მომავალშიც, საუკეთესო ინვესტორ-პარტნიორად. ამას ემატება იტალიის ტერიტორიული სიახლოვე საქართველოსთან, საქართველოს ისტორიული კავშირები მასთან და მრავალი სხვა. მარტო ის რად ღირს, მეორე საუკუნეში რომის იმპერატორმა ქართლის მეფის ფარსმან ქველის მონუმენტური ძეგლი რომ აღმართა მარსის მოედანზე, შემდეგ თამარაშვილის მოღვაწეობა იტალიაში, შემდეგ სულხან-საბასი და სხვების და სხვების. და ბოლოს, ისიც ყურადღებამისაქცევია, რომ ევროპის ქვეყნებს შორის იტალია არის ის ქვეყანა, რომელმაც მიიღო ქართველი ემიგრანტების „დიდი არმია“, ლეგალურად თუ არალეგალურად დაასაქმა ისინი. თუ აღარ გავშლით ამ თემას, რომელსაც ჩვენი ქვეყნისთვის ნეგატიური მხარე მეტი აქვს, ვიდრე პოზიტიური, ის ხომ პოზიტივია, რომ ემიგრანტთა ეს „არმია“ რომელთა ასაკი 30-45 წელია, ხვალ თუ არა ზეგ იტალიური ენის მცოდნე დაუბრუნდება თავის ქვეყანას და წარმატებით იმუშავებს იტალია-საქართველოს ერთობლივ საწარმოებში, რომელთა სიმცირეს დღეს გარკვეულწილად საურთიერთობო ენის პრობლემაც წარმოადგენს.

ადრეც აღვნიშნეთ, და ეხლაც გავიმეორებთ, რომ ინვესტიციების მიმღები ქვეყანა, მოცემულ შემთხვევაში საქართველო, ახალი ტექნოლოგიებით და ინოვაციებითაა დაინტერესებული. ამ მხრივ იტალია ევროპაში უკანასკნელ ადგილზე არ დგას. იტალიას გააჩნია ძლიერი მრეწველობა და აგრეთვე, სოფლის მეურნეობა. სამრეწველო მაჩვენებლების მიხედვით იგი მსოფლიოს ლიდერი ქვეყნების ათეულში შედის [1, TX. 115]. ჩვენთან არც მრეწველობაა განვითარე¬ბული და არც სოფლის მეურნეობა. საქართველოს უდიდესი ნაწილი მთაგორიანი ტერიტორიებია, სადაც შეიძლება კარგად განვითარდეს მესაქონ¬ლეობის ერთობლივი საწარ-

მოები, რომლის დიდ გამოცდილება იტალიას აქვს (იტალიის სამხრეთს „ბოჩოლების ქვეყანა“-ც კი დაარქვეს ბერძნებმა).

იტალია მოსახლეობის ცხოვრების დონით მე-8 ადგილზეა მსოფლიოში, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით კი 2016-2017 წლებში მან მსოფლიოში 43-ე ადგილი დაიკავა [1, გვ. 117]. ინოვაციურობის ინდექსით, რომელიც იტალიაში 2016 წელს 47,2-ს შეადგენდა, იგი მსოფლიოში 29-ე ადგილზეა [1, გვ. 118], საქართველო კი, 55-ე ადგილზე [2, გვ. 30]. რაც შეეხება გლობალური ინოვაციური ინდექსის ზოგიერთ მაჩვენებელს ისინი ამ ქვეყანაში ასე გამოიყურებიან (ცხრილი 1):

ცხრილი 1 გვიჩვენებს, რომ იტალიას საკმაოდ მაღალი ღირებულების ტექნოლოგიები გააქვს საზღვარგარეთ. 2016 წელს ექსპორტზე იტალიდან გავიდა 28912,6 მლნ აშშ დოლარის ღრიებულების მაღალი ტექნოლოგიები. იმავე წელს იტალიდან საქართველოში შემოვიდა მისი მხოლოდ 0,0113%, ანუ 3268 ათასი აშშ დოლარი. ისიც არ არის ცნობილი, რა ფორმით შემოვიდა იგი და რა საქმეში დაბანდდა. თუ ეს ინვესტიცია მაღალი ტექნოლოგიების და ტექნიკის სახით შემოვიდა და სწორედ ერთობლივ საწარმოებში დაბანდდა, ეს იმდენად მიზერული მოცულობაა, რომ ამით საქართველოს ეკონომიკის არაფერი სასიკეთო ძვრები არ დაემჩნეოდა. ასეთ დროს, თუ საქართველოს მთავრობა მიმზიდველ ინვესტიციურ გარემოს შეუქმნიდა იტალიის სახელმწიფოს, შეიძლებოდა იქიდან მართლაც მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელებულიყო. მომავლისთვის სწორედ ეს არის გასათვალისწინებელი. არც იმის თქმა იქნება ურიგო და უადგილო, რომ სწორედ იტალიაში (ბოლონია) იქნა შემუშავებული უმაღლესი სწავლების კრედიტირების ევროპული სისტემა და იტალია იყო პირველი, ვინც პირველმა დანერგა ეს სიახლე უმაღლეს განათლებაში (შემდეგ იგი გავრცელდა ყველგან, მ. შ. საქართველოშიც) იტალიის უმაღლეს სასწავლებლებთან (მაგალითად, ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და სხვაგან) შექმნილია ინოვაციური ცენტრები, რომლებიც ეხმარება ახალგაზრდა სპეციალისტებს დააფუძნონ საკუთარი საწარმოები (ისინი იღებენ შეღავათიან კრედიტებს და აქვთ შეღავათიანი დაბეგვრაც). მიზანშეწონილად მოგვაჩნია იტალიის რომელიმე ასეთ ცენტრთან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაახლოება და ასეთივე ცენტრის აქ შექმნა ერთობლივი საწარმოს სტატუსით. ცოდნა და გამოცდილება იქნება იმათი, ინფრასტრუქტურა კი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის.

ბოლო პერიოდში საერთოდ ევროკავშირის და მათ შორის იტალიის ინოვაციურ პოლიტიკამ ცვლილებები განიცადა. იტალიაში წამყვანი გახდა ინოვაციური სისტემის ევროატლანტიკური მოდელი (ცხრილი 2). მისი მთავარი მოთხოვნა არის უნივერსიტეტების და კვლევითი ცენტრების შეერთება, მას აქვს სრული ინოვაციური ციკლი, სახელმწიფოს დახმარება იდეების კომერციალიზაციაში და სახელმწიფო დაფინანსება, გრანტების აქტიურად გამოყენება. ინოვაციების სტიმულირება ხდება როგორც სამართლებრივ დონეზე, ისე დაბეგვრის კუთხით.

ინოვაციების აღნიშნული მოდელის ბირთვი არის კვლევითი ცენტრები (საქართველოში ეს სიახლე ჯერ-ჯერობით ჩანასახოვან დონეზეა) [1, გვ. 132].

იტალიაში მრავლადაა სხვადასხვა ინოვაციური სტრუქტურები – ტექნო-პარკები, ტექნო-პოლისები, ბიზნეს-ინკუბატორები. ქვეყანაში შექმნილია 23 ტექნო-პარკი, 12 ტექნო-პოლისი

ცხრილი 1

გლობალური ინოვაციური ინდექსის ზოგიერთი მაჩვენებელი იტალიაში 2011-2016 წლებში [3]

№	მაჩვენებლები	2011	2012	2013	2014	2015	2016
1	ინოვაციების ინდექსის რეიტინგი	-	36	29	31	31	29
2	ინოვაციების ინდექსი	40,7	44,5	47,9	45,7	46,4	47,2
3	კვლევებზე დანახარჯები %-ად მშპ-სთან	1,21	1,27	1,31	1,29	1,41	1,52
4	ინფორმაციული ტექნოლოგიების ექსპორტი %-ად საქონლის საერთო ექსპორტთან	2,1	1,86	1,75	1,67	2,8	...
5	მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტის წილი საქონლის ექსპორტში (%)	7,37	7,07	7,24	7,34	8,4	...
6	მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტი, მლნ დოლარებში	31191,61	27525,7	29711,9	30744,9	26955,3	28912,6

ცხრილი 2

იტალიის ეროვნულ-ინოვაციური სისტემის ევროატლანტიკური მოდელი [4]

№	კრიტერიუმი	ფორმა
1	ძირითადი ფორმა	უნივერსიტეტების და კვლევითი ცენტრების გაერთიანება
2	ინოვაციური ციკლის ეტაპები	სრული ინოვაციური ციკლი
3	სახელმწიფოს როლი	პარტნიორობა, დაფინანსება და დახმარება იდეების კომერციალიზაციაში
4	ინოვაციების დაფინანსების თავისებურებები	სახელმწიფო გრანტების აქტიური გამოყენება
5	ინოვაციური აქტივობის სტიმულირების მეთოდები	სტიმულირება კანონმდებლობით და საგადასახადო შეღავათებით

და მრავალი ბიზნეს-ინკუბატორი. ისინი ინოვაციებზე მუშაობენ გამოყენებითი კვლევების ფონდის (FRA), საბაზრო კვლევების საინვესტიციო ფონდის (FIRB), სამეცნიერო კულტურის გამავრცელებელი ფონდის (POS), უნივერსიტეტების სამეცნიერო კვლევების ფონდის (COFIN), სახელმწიფო სამეცნიერო კვლევების განმახორციელებლი სააგენტოს ფონდის და განათლების სამინისტროს მმართველობითი და ტექნოლოგიური ინოვაციების ფონდის (FIT) დაფინანსებით.

დაგვეთანხმებით, რომ ინოვაციების განვითარების სწორედ ასეთმა ხელშეწყობამ შეკრა იტალიაში სისტემური ჯაჭვი – „განათლება – მეცნიერება – ტექნოლოგიები – მრეწველობა“, რომელსაც მისი ეკონომიკა სისტემატურად გადაყავს მაღალ ტექნოლოგიებზე და იგივე მუხტს აძლევს სხვა ქვეყნებსაც, სადაც ის ინვესტორის როლში შედის.

ვიცნობიერებთ რა იტალიის მდგომარეობას ინოვაციების სფეროში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასთან პარტნიორული ურთიერთობა ბიზნესის სფეროში, ერთობლივი საწარმოების გახსნის კუთხით, თანაც, არა ყველგან და ყველაფერში, არამედ, „ჩვენი ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში მაღალტექნოლოგიური და კონკურენტუნარიანი კომპანიების მოზიდვით“ [5, გვ. 198].

2. იტალიის სამეწარმეო კავშირები საქართველოსთან

დღეს საქართველოში 43 იტალიური კომპანია ფუნქციონირებს. ყველა ისინი გახსნილი არიან 2016-2017 წლებში. ყველა კერძო საკუთრებაზე არიან დაფუძნებულნი და სტატუსით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებია.

იტალიური საწარმოებიდან 37 გახსნილია თბილისში, ერთი – დუშეთში, ორი – ბათუმში, ერთი – ზუგდიდში, ერთი – რუსთავში, ერთი – ადიგენში. აქედან მხოლოდ 8 არის ერთობლივი. დანარჩენი იტალიის ფიზიკური კერძო პირების ან იურიდიული პირების საწარმოებია და მათ საკუთრებაში ქართველები არ მონაწილეობენ.

დღეს, საქართველოში მოქმედი იტალია-საქართველოს ერთობლივი საწარმოები შემდეგია:

- შპს „დარკ-სვან”-ი (თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ე. ანდრონიკაშვილის პირველი შესახვევი, №21, ბინა 4; E-mail: angiolinog@gmail.com; info@dark-swan.org; საიდენტიფიკაციო კოდი – 400171363;);
- შპს „იქს-უან ჯორჯია თრეიდ კომპანი” (თბილისი, პუშკინის ქ. №19; E-mail: info@x-onedistribution.com; საინდენტიფიკაციო კოდი – 404513488;);
- შპს „იტაკო-ჯი” (თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №54, ბინა 17; E-mail: itacogroupscarl@legalmail.it; საინდენტიფიკაციო კოდი – 405146051);
- შპს „ჯიპ”-ი (თბილისი, ფალიაშვილის ქ. №90/92, ბინა 21; E-mail: c-gocha@mail.ru; საინდენტიფიკაციო კოდი - 405139808);
- შპს „საერთაშორისო ინოვაციური მედიცინა” (თბილისი, სამგორის რაიონი, მე-3 მასივი, ზემო პლატო, კორპუსი 7, ბინა 32; E-mail: maruashvili.mamuka@gmail.com; საიდენტიფიკაციო კოდი – 406228844);
- შპს „ ასტ Iნვესტმენტ” (თბილისი, პუშკინის ქ. №6/მანჯგალაძის ქ. №14; E-mail: m.tofanelli@costservice.it; საიდენტიფიკაციო კოდი – 404443848);
- შპს „სამედიცინო ინოვაციების აკადემია” (თბილისი, ფალიაშვილის ქ. №6, ბინა 5; ტელ.: 599553311; E-mail: talgeo2016@gmail.com; საიდენტიფიკაციო კოდი – 405180637);
- შპს „იტალიანო რესტორან” (თბილისი, ფალიაშვილის ქ. №35, ბინა 9; E-mail: giovannilazzarini@yahoo.it; საიდენტიფიკაციო კოდი – 405150839).

ასე, რომ იტალიის მიერ საქართველოში გახსნილი 43 საწარმოდან მხოლოდ 18,6% არის ერთობლივი. ჩვენი ქვეყნისთვის კი სასურველი იყო ყველა თუ არა, მათი 90% მაინც ყოფილიყო ერთობლივი, რადგანაც ერთობლივი საწარმოს მოგების წილი, აქ საქართველოში რჩება, არაერთობლივი საწარმოები კი, აქ შექმნილ მოგებას მთლიანად გაიტანენ იტალიაში.

საფიქრელია, რომ დაწესდეს რაღაცა ქვოტა, ანდა შეიქმნას წახალისების რაიმე მექანიზმი (მაგალითად, საგადასახადო შეღავათი), რომლის ძალითაც უცხოელები დაინტერესებული იქნებიან მასპინძელ ქვეყანაში გახსნან ერთობ ლივი საწარმოები.

ზემოთდასახელებულ ერთობლივ საწარმოებში ქართულ მხარეს წარმოადგენენ:

შპს „დარკ-სვან"-ში – ფიზიკური პირი – თამთა ფანჯიკიძე.

შპს „იქს-უან ჯორჯია თრეიდ კომპან"-ში – ფიზიკური პირი – ლეილა ღლიღვიშვილი.

შპს „იტაკო-ჯი"-ში – ფიიკური პირი – ავთანდილ ჩხაიძე.

შპს „ჯიპ"-ში – ფიზიკური პირი – გოჩა ჩხაიძე.

შპს „საერთაშორისო ინოვაციურ მედიცინა"-ში – ფიზიკური პირები – მამუკა მარუაშვილი, შალვა საბახტარაშვილი და გენადი გადელია.

შპს „ფასტ ინვესტმენტს"-ში – გიორგი სანიკიძე.

შპს „სამედიცინო ინოვაციების აკადემია"-ში – გია თომაძე.

შპს „იტალიანო რესტორან"-ში – ლევან კუპატაძე.

აღნიშნული ერთობლივი საწარმოები სხვადასხვა სფეროში საქმიანობენ.

მეტი ერთობლივი საწარმოს გახსნით საქართველოს კომპანიები ადვილად გავლენ იტალიის ბაზარზე და კიდევ ყველა იმ ქვეყნის ბაზრებზე, რომლებზეც იტალია გადის. ამით გაფართოვდება გაყიდვების მოცულობა და ამაღლდება საქართველოს კონკურენტუნარიანობა.

დასკვნა. ამ ბოლო წლებში საქართველოს და იტალიის ბიზნეს-კავშირები საკმაოდ განვითარდა. 2016-2017 წლებში იტალიამ საქართველოში 43 საწარმო გახსნა. აქედან 8 არის ერთობლივი. საქართველოს მთავრობამ უნდა დააინტერესოს იტალია, რომ მათ მეტი ერთობლივი საწარმოები გახსნან.

ლიტერატურა:

1. ქველაძე ქ. იტალიის რესპუბლიკის ინოვაციური პოლიტიკა, სამეცნიერო შრომების კრებული, თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, IX, თბ., 2016.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020", თბ., 2013,.
3. Иновационная политика Италии, SkachatReberat.ru> referaty/Иновационная... Италия...
4. Гационадьные инноввационные системы крупных западноевропеиских стран, реферат, учебный предмет: Экономика и управление иновациями, Минск, 2015, http://www.allbest.ru/
5. სიგუა გ. ეკონომიკის ინოვაციური განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში და ევროკავშირის ქვეყნებში, თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბ., 2016.

BIBLIOGRAPHY:

1. Kveladze K. The innovative politics of Italian republic, Scintific work collection, TSU, Economical Institute named after P. Gugushvili, IX, Tb. 2016.
2. The strategy of Georgian social and economical development strategy, Georgia 2020", Tb, 2013.
3. Italy's innovation policy, SkachatReberat.ru> referaty / Innovative ... Italy…
4. Gationary innovation systems of large Western European countries, abstract, academic subject: Economics and management of innovations, Minsk, 2015, http://www.allbest.ru/
5. Sigua G. The main tendentions of innovative development of economics in Georgia and EU countries, TSU, Economical Institute named after P. Gugushvili, Tb. 2016.

ITALIAN AND GEORGIAN BUSINESS RELATIONS: CURRENT SITUATION, PERSPECTIVES

MAIA ROKHVADZE
Doctoral of GTU
E-mail: rokvadzemaia@mail.ru

SUMMARY

In the article-"Italian **and Georgian Business Relations: Current situation, perspectives"-** it is characterized the economics of Italy as one of the successful country, its high ratings in innovations, the export of high technology from Italy and other indicators. It is characterized the Euroatlantic model of innovation system emplemented in Italy and it is said that Italy is that country with whom developing and enlarging partnership will be beneficial for Georgia.

Besides, in the article it is shown the overview of Italian enterprises that are opened in Georgia. From them more attention is paid on Italian and Georgian joined ventures through which Georgia runs on the Italian market.

Key words: Business communications, high technologies, joined ventures.